№ 185
პარასკევი, 28 აგვისტო, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 185
პარასკევი, 28 აგვისტო, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ქ. მ ჩაქრაკიანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
მკურნალი-ქალი, ბ. ი. რუდენკო. 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.
ზ.ი. ბაბანასიანცი.—დილის 11½—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ს. ბ. კარაბეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ბ. გ. გურკო. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.
სადამოობით:
გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.
ბ. ს. ნავასარდიანი—6½—7 საათ.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

ექიმი
პ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ულდისა, ტხვიჭრისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., სალამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნევენცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(—ნ.—3)

კბილის ექიმი
ა. ე. სოლოღაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2 მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—4)

ახალი ამბავი

∴ მისს მაღალ-ყოველად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს, როგორც გაზ. „კავკასია“ იუწყება, 100 მან. შეუწირავს ყრუ მუნჯთა სკოლისთვის.

∴ ესპანიის ბურბონელი პრინცი დონ ხაიმე ბორჯომიდგან ტფილისს დაბრუნდა და აქ დაათვალიერა საბოტანიკო ბაღი და მცირეწლოვან დამნაშავეთა ახალშენი. აქედგან ესპანიის პრინცი წავა ბორჯომში და იქიდგან ბათომზე გაემგზავრება ლივადიაში.

∴ ქალაქის ქუჩების ელექტრონის გასანათებლად ქალაქის გამგეობას საგანგებო კრება დაუნიშნავს შაბათს, 29 აგვისტოს. ამ კრებაზე გამგეობა განიხილავს იმ განცხადებას, რომელიც მისთვის მიუცია თ სხვა და სხვა ფირმებს თხოვნით, ჩვენ გადმოგვეცით ქალაქის ქუჩების ელექტრონით განათებაო.

∴ ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა პოლიციმეისტერს სახელმწიფო და საერობო გარდასახადთა სიები სახლის პატრონების ჩ.საბარებლად. ამასთანავე გამგეობა სთხოვს პოლიციმეისტერს გამოუცხადეთ მათ, რომ ეს გარდასახადი უსათუოდ პირველ ოქტომბრამდე უნდა შემოიტანონო, თორემ მას შემდეგ მათ ჯარიმა გადახდებათ 1% და ნოემბრიდგან-კი მათ სახლები გაეყიდებათ ამ გარდასახადის ხაზინაში შესატანად.

∴ გუშინ, 27 მარიამობისთვეს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ეზოს აუზში დაიხრჩო სათავად აზნაურო სკოლის მოსწავლე სამსონ იობაშვილი. საბრალომ გუშინ საუკეთესოდ დაიჭირა განმეორებითი ეგზამენი და გადვიდა შემდეგს კლასში. არავინ არ იცის რა ნაირად გადავარდა წყლით სავსე აუზში. უნახავთ მხოლოდ, რომ პირველ საათზედ ვილაც ორ ბავშვთან ერთად თამაშობდა ეზოში და იქვე მდგომ ნიგვზის ხეს ესროდა ჯოხს კაკლის ჩამოსაყრევინებლად. ჰფიქრობენ: უთუოდ აუზში ჩაცვნინული კაკლების ამოღების დროს გადავარდაო. აუზი საკმაოდ ღრმა არის, რომელიც თითქმის განგებ, დღეს პირთამდე ავსებულიყო. ამ აუზში აქაურ მეთევზეებს ლოქოები და წვრილი თევზი ჰყავს დამწყვდეული. ორის ნახევარზე ამოსულიყო მეთევზე აუზიდამ ლოქოს ამოსაყვანად და ესროლა ჩანგალი, მაგრამ ლოქოს მაგივრად ჩანგალმა უბედური ბავშვი ამოატივტივა. პატრონებმა მაშინვე მოუხმეს ექიმებს. თითქმის ორი საათი ზილეს და ამოძრავეს გაშიშვლებული ბავშვი ბალიშებზედ დაწოლილი, მაგრამ, ამაოდ, ველარაფერი უშველეს.

∴ 1 ენკენისთვიდგან დაიწყება სწავლება ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობის ყველა სკოლებში, სახელდობრ, ხაშურში, განჯაში, ბაქოში და სამტრედიაში. რაც შეეხება აჯიქაბულის სასწავლებელს, აქ სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს იმის გამო, რომ აქაურ სასწავლებლის შენობა ჯერ შეკეთებული არ არის. ამ ჟამად რკინის გზის ყველა სასწავლებლებში სწავლობს 1500 მოწაფე, მათ შორის ზოგი უფასოდ და ზოგიც მცირე ფასით.

∴ 1-ს სექტემბრიდგან კავკასიის რკინის გზის გამგეობაში სამსახური დაიწყება დილის 9 საათიდგან და გასტანს ნაშუადღევის 3 საათამდე.

∴ ახალის მირაბისა და მერუეების არჩევანი მოხდება: ძეგვისა 27 სექტემბერს, გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში და სურამისა 4 ოქტომბერს, გორის მაზრის დაბა ხაშურში.

∴ 26 აგვისტოს ქალაქის გამგეობამ განიხილა სხვათა შორის შემდეგი საქმეები: 1) თხოვნა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობისა, რომელმაც მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა ადგილი მოგვეცით სასაფლაოსთვისაო. გამგეობამ დაადგინა მიეცეს რკინის გზის მმართველობას 5,000 ოთხკ. საჟენი იმ ადგილას, სადაც ეხლა ურიების სასაფლაო არის.

2) თხოვნა კავკასიის გრენადერთა ბატარეისა შესახებ იმისა, რომ ქალაქმა იკისროს ელისაბედის ქუჩის შეკეთება ბატარეის შენობასთან, რადგან ეს ქუჩა ძლიერ არის გაფუჭებული.

ქალაქის გამგეობამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა, რადგანაც ეს ქუჩა განგებ არის ისე გაკეთებული, რომ ნიაღვრისაგან დაიფაროს მახლობელი სახლები და ამიტომ ქუჩის გადაკეთება არ შეიძლებაო.

დასასრულ განხილულ იქმნა თხოვნა კომენდანტის რეიტერისა, რომელიც სთხოვს გამგეობას, ჩემ სახლთან მდებარე ქალაქის ცარიელი ადგილი მომყიდეთ, 19 ოთხკ. საჟენი

ფელეტონი

* * *

(ვუძღვნი მანდონხანს)

შენ რომ სცნო, შენთვის რაცა
ღმერთმანი, შეგიყვარდები: [მსურს,
მსურს, რომ მზე გვირგვინს გიწნავ-
გმო! ავდეს ია-ვარდები; [დეს,
მთვარე პირს გაბანინებდეს,
თმებსა გიხვევდეს ცისკარი,
იყო მარადის ჯან-მრთელი,
ბედნიერი და მცინარი...
მსურს—ანგელოზნი გიძღვნიდნენ
ქებათ-ქებასა ნაზადა,
გული და გრძნობა ქვეყნისა
გეფინოს ფიანდაზადა;
რასაც ინატრებ—აღსრულდეს,
ვინც რომ გინდოდეს—გმონებდეს,
შენს რისხვას თვით ცა უკრთოდეს,
რასაც სთხოვ, გაიგონებდეს;
მსურს—ეგ ლამაზი თვალები
ეშმაკნი, მაგრამ ჰკვიანნი,
სულის და გულის შემბორკნი,
მთვარიან-ვარსკვლავ-მზიანნი;
ეგ სიყმაწვილე, სიმკვირცხლე,
თან ეგ სინაზე ნარნარი
სულ ეგრე დარჩეს უცვლელად,
სიჭაბუკითა დამტკბარი...
მსურს, რომ ცის უკვდავ ცხოვრებას
შენ ჰყავდე გამგებელადა,
ანგელოზთ გუნდნი გარს გერტყას
მლოცველად, მგალობელადა;
რომ დაგემონოს ქვეყანა,
გაუხდე იმას მცველადა,
მიწას მიაჩნდე სიცოცხლედ
და ზეცას—ცისარტყელადა...
მაგრამ ისიც მსურს—იცოდე—
მე შენთან ვიყო მარადა
და მეგობრობით შეკრულნი
ვგალობდეთ მთად და ბარადა;
ყველა შეგვნატრდეს... ჩვენ ვიყოთ
ერთი მეორის ამარა
და სანავარდოდ ჩვენ დაგვრჩეს
მიწა და ცისა კამარა!..

გრ. აბაშიძე

„მთა-შაველი ქალი კერძო და საზოგადო ცხოვრებაში“.

(სახალხო ლექცია პროფესსორის ალ. ალექსანდროვისა)

7 დეკემბერს წარსულის წლისას ყაზანის საბირჟო შენობის დარბაზში უნივერსიტეტის პროფესსორმა ალ. ალექსანდროვმა წაიკითხა სახალხო ლექცია: „მთა-შაველი ქალი (черногорка) კერძო და საზოგადო ცხოვრებაში“. ამ ლექციის შინაარსი საინტერესო უნდა იყოს ქართველ საზოგადოებისათვის, მით უფრო, რომ მთა-შაველთა ყოფა-ცხოვრება, როგორც ამ ლექციიდგან დაინახავთ, ბევრად მოკვაგონებს ჩვენის ქვეყნის წარსულს ვითარებას, მათი ზნე-ჩვეულებანი ბევრით ჰგავს კავკასიის (შეტადრე მთის) ხალხის ჩვეულებათ, თუმცა ამასთანავე თავისს საკუთარს ელფერსაც არ არის მოკლებული, რის გამოც იგი უფრო მეტად საყურადღებოა და თანაგრძნობის ღირსი.

„სახელი და ვაჟკაცობა მთა შაველებისა,—ასე დაიწყო ლექტორმა თავისი ლექცია—ყველასაგან და ყველგან ცნობილია დედამიწის ზურგზედ. არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც არ იცნობდნენ და არ ჰლაპარაკობდნენ მთა-შაველების შესახებ, რომელთა მსგავსი მამაცობისა და ვაჟკაცობის მხრივ არსად მოიპოვება. მაგრამ ვინც სიცოცხლეს აძლევს, ჰკვებავს და ზრდის ამ გმირთა, იმათსას-კი არაფერს ამბობენ, იმათ მახლობელი მეზობლებიც ძლივს იცნობენ!.. ესენი გახლავან მთა-შაველი ქალნი, მუდამ მშრომელნი შინ, ოჯახში და საზოგადო ცხოვრებაში კუბოს ფიცრამდე“.

თუ მართალია ის სამეცნიერო მოსაზრება, რომ მსგავსი მსგავსსა ჰშობსო, ერთგვარი ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიური და ეტნოგრაფიული ვითარებანი მსგავსსავე კულტურას, ზნე-ჩვეულებას და მსოფლიო-მხედველობას გამოიწვევს,—მით უმეტეს მართალი და უტყუარი გვეჩვენება ჩვენ ეს აზრი, როდესაც ვაკვირდებით მთა-შაველთის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებას, მათს მამა-პაპურს აზრს ქალის შესახებ, როგორც მშობელისა და მეუღლისა, და ამ აზრს ვუდარებთ მსგავსსავე აზრს იმავე საგნის შესახებს კავკასიის ზოგიერთ ერისას, რომელნიც თითქმის სწორედ ისეთსავე ისტორიულ, გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ ვითარებაში იყვნენ, როგორშიაც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მთა-შაველთა ყოფა-ცხოვრება მუდმივი გარეშე მტერთან ბრძოლა ეროვნულ თვით-არსებობის დასაცველად, მიუვალის მთა-ტყის შემოზღუდული სამშობლო მიწა, იქვე გვერდში დაუძინებელი მტერი—ოსმალო, ძველი ეკონომიური წესი წარმატებისა და მართლ-მადიდებელი სარწმუნოება,—აი ის გარეშე და შინაგანი ვითარებანი, რომელნიც ჰქმნიდა და ჰქმნის ისტორიას მთაშაველთის ერისას და, რომელნიც, როგორც ვხედავთ, ბევრით არაფრით განირჩევა საქართველოს ისტორის შემქმნელ გარემოებათაგან.

მთელი 500 წელი მთაშაველი ებრძვის თავისს დაუძინებელს მტერს—ოსმალოს, ბრძოლაში ჰხედავს იგი ერთად-ერთს საშუალებას თავისის ოჯახისა და მიწა-წყლის დაცვისას, ხოლო მებრძოლ მამაკაცში—მხსნელსა და მფარველს არსებას თავისის ძვირფასი სამშობლოსას, და ამას შემდეგ რა საკვირველი უნდა იყოს, რომ იგი, როგორც კავკასიელია, მამაკაცს უფრო მაღლა აყენებდეს დედაკაცზედ, ისკი არა-და, თვით ამ უკანასკნელისაგანაც კი ისეთსავე სიმხნესა და თავ-შეწირვას გამოელოდეს, როგორც მეომარ ვაჟკაცისაგან, და მხოლოდ მეომრის თვალით აფასებდეს თავისის დედის, დის, თუ ცოლის არსებობას, ხასიათსა და მოქმედებას. აი, სწორეთ ამ მოსაზრებით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ მთა-შაველი ვაჟის დაბადებას თოფის სროლით ეგებება, ქალისას-კი—მოწყენით და თითქმის დარცხვენითაც კი, როცა ეუბნებიან მომკითხველებს: „да опростите, чер ми се родила“—„მაპატიეთ, ქალი დამებადაო“. რასაკვირველია, ეს ბოდიშის მოხდა ქალის დაბადების გამო იმას-კი არ უნდა მიეწეროს, თითქო მთაშაველს ქალი ეზიზღებოდეს, საზიზღარ არსებათ მიაჩნდეს, როგორც ეს ეგონათ ზოგიერთ უცხო-ქვეყნელთ. იმის გამო მწუხარების გარდა, რომ დაიბადა არა ვაჟი-მეომარი მთაშაველთის თავისუფლებისათვის—ბ-ნ ალექსანდროვის აზრით—მთაშაველი უცქერის მშობიარობას როგორც ცოდვას. ამ მხრივ მთაშაველი ძლიერ წააგავს აფხაზს, რომლის ქალიც, შეიტყობს თუ არა, ორსული ვარო, ამ ამბავს არავის უმხელს, მით უფ-

ნი. ქალაქის გამგეობამ ღაღადგინა ამ თხოვნის ასრულება გაეასდოს იმ დრომდე, ვიდრე უმართებელესი სენატი გადასწყვეტავს რა წესითა და რიგით შეუძლიან გამგეობას ქალაქის ადგილების გაყიდვა, ხოლო ბ ნ რეიტერს უპასუხა, თუ გნებავთ, შეგიძლიანთ ეს ადგილი იჯარით აიღოთ, 12 წლის ვადით, წელიწადში 50 კაპ. თითო საჟენი, იმ პირობით, რომ 12 წლის შემდეგ კვლავ ნება გქონდეთ ამავე ადგილის იჯარით აღებისა, და ეხლანდელს ფასს უნდა მიემატოს მანათზე კიდევ 10 კაპ.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, ს. კავთისხევში მკურნალი იქმნა გაგზავნილი ციებ ცხელების მოსასპობად. ეხლა ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით ფერშალი და წამლებიც გაუგზავნიათ.

⁂ 24 და 25 აგვისტოს ტფილისის საბალოსნო სკოლაში მოსწავლეების გამოცდა მოხდა. გამოცდას დაესწრო სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორი ვ. ნ. გეევსკი და საბალოსნო სკოლის მზრუნველი ს. ნ. ტიმოფეევი. გამოსცადეს ის მოსწავლენი, რომელნიც სწავლას ათავებენ და ყველა რიგიანად აღმოჩნდა მომზადებული.

⁂ ქალაქის გამგეობამ 27 აგისტოდან შემდეგი ნიხრი დააწესა: ძროხის ხორცი პირველის ხარისხისა გირვანქა 7 კაპ., სუკი გირვანქა 12 კაპ., ცხვრის ხორცი გირვანქა 8 კაპ.

⁂ „ახ. მიმ.“ იუწყება, რომ ბორჩალოს მაზრის ს. ყიზილ აჯალოს მახლობლად, განარლის-დარასხევში (ბნელი-ხევი) ყაჩაღთა ბრბოს მგზავრები გაუძარცვია. 24-ს აგვისტოს შვიდი ბოროტმოქმედი ალიბეგ მურსაყულოვის მეთაურობით თავს დასცემია 60 კაცს მგზავრს და წაურთმევია საქონელი და ფული, სულ 5,000 მან. ღირებულობისა.

ორი მგზავრი გაქცეულა და ნამენცთა ახლოშენს ეკატერინოფელდში ბოქაულ თ. თარხნიშვილისათვის შეუტყობინებია ეს ამბავი. ბოქაული ყაზახებითურთ მაშინვე დასდევნებია ყაჩაღებს, მაგრამ იმათის კვალისთვის ვერსად მიუგნია.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერენ ბორჩალოს მაზრიდგან, რომ 23 აგვისტოს სოფ. კიზილაქუს მახლობლად ავაზაკთა ბრბომ ალაი-ბეგ-მურსაკულოვის და ასმან-ალას მეთაურობით გაძარცვა 50 კაცი მგზავრიო. ყაჩაღები სულ 7 ყოფილან, ჩასაფრებულან გზაზე და ვისაც გაუვლია ან გამოუვლია გაუძარცვავთ. ყაჩაღებს ყველაფერი წაუღიათ, რის წაღებაც კი შეეძლებელი ყოფილა. საღამოზედ ეს ამბავი უცნობებიათ ეკატერინოფელდში ბოქაულის თარხნიშვილისთვის, რომელიც მაშინვე დასდევნებია ავაზაკებს.

⁂ სოფ. კობის (დუშეთის მაზრა) მცხოვრებელს სოლომონ თავაშვილს მოუკლავს თავისი ნათესავი სანდრო თვალაშვილი. თავაშკილსა და თვალაშვილს მამულის გამო მოსვლიათ ლაპარაკი და შემდეგ ეს ლაპარაკი ჩხუბათ გადაქცეულა. მკვლელი შეუპყრიათ.

⁂ 27 აგვისტოს ავჭალაში მიმავალ მატარებლიდგან № 1 გადმოვარდა ტფილისის მაზრის სოფ. გლდანის მცხოვრებელი 80 წლის მოხუცი სოფრო ისააკის ასული ლურჯიძე. ლურჯიძე მხოლოდ ოდნავ დაშავდა.

⁂ იმავე დღეს სადგურ ბალაჯარის მახლობლად საქონლის მატარებლიდგან გადმოვარდა და დაშავდა კონდუქტორი იოსებ ჩიხლაძე. დაშავებული ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში წაიყვანეს.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქავთისხევი, (გორის მაზრა). დღეს კავთისხევში საკმარისად გრილა, თით ქმის კიდეც ცივა, მაგრამ მოუყიერებელი ავადმყოფობა-კი უფრო და უფრო ეზის ეკლესიას აქვს თავისი საკუთარი სადგილი ეკლესიისაგან გეგრდით, სადაც შეიძლება მღვდლისათვის სახლი აშენდეს და ნაადაგ ფულის სდა მრევლმა ერთხელვე მოაშოროს ეს მოგვლეობა. მაგრამ აქაც მოთავეს საჭიროა, და მოთავე კაცი-კი კათისხევში ძალიან ძნელი საშოვარია.

კავთისხევში სულ ირიცხება საეკლესიო ბეღელი 325 კომლი და სახელმწიფო 87 კომლი, სულ 312 კომლი დანარჩენნი სხვა-და-სხვა ადგილებიდგან მრავალნი არიან დიდი სანი არ არის, რაც უმეტესის მოავრობის განკარგულებით საეკლესიო და სახელმწიფო გლეხები რაც სახელმწიფოდ შეირიცხნენ. ეხლა ეს გლეხები ხარჯსა და ბეგარას თანასწორათ აძლევენ, მაშასადამე სასაზინო მამულებშიაც ერთის უფლებით არიან აღჭურვილნი და მფლობელობაც ერთიერთ შორის ამ მამულზედ უმეტ ნაკლებ უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოსალოდნელი წეს-წყობილება არ არის დაცული. რადგანაც კავთისხეველებისათვის მიზნადი სასაზინო მამული გაუუოფელია და კინც მიასწრობს ადრე მოხვნას, მამულიც იმისია და ჭინახულსაც ის მოიმკის *) რასაკვირველია, როგორც უკეღა საქმეში, აქაც გაკეთებული გლეხი ნაკარდობს. შეძლებულს თავისი საკუთარი გუთნეული ჰყავს და რაცა უნდა, მაშინ შეასმს და გაიტანს გაზაფხულურსაც და ანეულის გუთანსაც და დარიბი კაცი-კი რომელსაც მარტო ულელი ხარი ჰყავს, შვიდი დღე უნდა სხვას მოელოდოს, რომ მერგე დღეს იმის უხნან. ამ დროშდე კი შეძლებულის კაცის გუთანი დადის და სადაც საკუთარ ადგილი ეკლესიასვე გეგრდით, სადაც შეიძლება მღვდლისათვის სახლი აშენდეს და ნაადაგ ფულის სდა მრევლმა ერთხელვე მოაშოროს ეს მოგვლეობა. მაგრამ აქაც მოთავეს საჭიროა, და მოთავე კაცი-კი კავთისხევში ძალიან ძნელი საშოვარია.

კავთისხევში სულ ირიცხება საეკლესიო ბეღელი 325 კომლი და სახელმწიფო 87 კომლი, სულ 312 კომლი დანარჩენნი სხვა-და-სხვა ადგილებიდგან მრავალნი არიან დიდი სანი არ არის, რაც უმეტესის მოავრობის განკარგულებით საეკლესიო და სახელმწიფო გლეხები რაც სახელმწიფოდ შეირიცხნენ. ეხლა ეს გლეხები ხარჯსა და ბეგარას თანასწორათ აძლევენ, მაშასადამე სასაზინო მამულებშიაც ერთის უფლებით არიან აღჭურვილნი და მფლობელობაც ერთიერთ შორის ამ მამულზედ უმეტ ნაკლებ უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოსალოდნელი წეს-წყობილება არ არის დაცული. რადგანაც კავთისხეველებისათვის მიზნადი სასაზინო მამული გაუუოფელია და კინც მიასწრობს ადრე მოხვნას, მამულიც იმისია და ჭინახულსაც ის მოიმკის *) რასაკვირველია, როგორც უკეღა საქმეში, აქაც გაკეთებული გლეხი ნაკარდობს. შეძლებულს თავისი საკუთარი გუთნეული ჰყავს და რაცა უნდა, მაშინ შეასმს და გაიტანს გაზაფხულურსაც და ანეულის გუთანსაც და დარიბი კაცი-კი რომელსაც მარტო ულელი ხარი ჰყავს, შვიდი დღე უნდა სხვას მოელოდოს, რომ მერგე დღეს იმის უხნან. ამ დროშდე კი შეძლებულის კაცის გუთანი დადის და სადაც

*) სახაზინო მამული საკავთისხევოს აგარაკში ურწყავია.

ამ უსამართლობისა და უწესობის გარდა ძალიან ხშირათ შეხვდებით ჩხუბსა და კივილის ტრიალს გლეხების შორის ამ მამულების მოხვნის დროს, რადგანაც ზოგს ოცის დღისა აქვს მოხნული და ზოგს კვლავ არა აქვს გაკლილი, ამის გამო იბადება ჩხუბი, თავ-ბიერას მტკრევა და სასამართლოში სიარული, რომელიც სტარავთ და ჭლუბავთ. რამდენჯერ წასულან საჩივლელად სასულმწიფო მამულების გამგესთან ქ. გორში, მაგრამ არაკითარი გადაწყვეტილი და დაბოლოებული ვა. სუხი გერ მიუღიათ და დღესაც ისევ ისე სჩაგრავენ უღონოს, როგორც წინად, და თუ დიდ ხანსაც გასტანს ასე და ყური არავინ უგდო შეიძლება ერთს განაფთხუზედ ეს ამოდონა სალხი ერთმანეთს დაერიოს და ერთმანეთი დაბუგონ.

რად უნდა იყოს ასე? მით უფრო, რომ აქაური სასაზინო გლეხები სარჯსა და ბეგარის მხრივ დასწორებულები არიან და, მაშასადამე, მამულის მფლობელობაც ერთნაირათ უნდა ჭქონდეთ და ან კინც მეტი მოხნას, იმ კარაულიით მოხნას, რომ თავის კუთვნილზედ მეტის მოხნისათვის ფული გარდაუხადოს იმ მოხნაწილე გლეხებს, რომელნიც სტარავთ

გებლოდ, რომელიც ტფილისში უნდა დაარსდეს. წარმოდგენა გაიმართა ს. გომში, სადაც ეგრედ წოდებულ თავად-აზნაურობის სინდიკატის სადგური არის. სცენა საუცხოოდ მოაწყო თ. სარდიონ ამირეჯიბმა, რომელმაც შრომა და ხარჯი არ დაიშურა ამ საქმისათვის. სალამოს ოთხ საათიდგან მოკიდებული საზოგადოება ეტლებითა და ცხენებით და ზოგი კიდევ რკინის გზითაც შეიკრიბა გომში. დიდძალი ხალხი მოვიდა სურამიდამ და გარშემო სოფლებიდამ—ქვიშხეთიდან, ვაყიდან და სხ. აგრეთვე ქარელიდან, ხვედურეთიდან, და გორიდან მრავალმა თავადაზნაურობამ მოიყარა თავი. ცხრა საათის შესრულდა, როდესაც ზარის წკარუნი მოისმა სცენიდამ,—მოგროვდითო, მაგრამ ჩვენის დროის „ჰაეროვანებს“ თავისის ცქრიალა პეპელებით დუდუკზედ ლეკური გაეჩაღებინათ და მაყურებელს სიამოვნებას უორკეცავდნენ. სასიქადულო დიასახლისი კნეინა მაკინე ამირეჯიბისა დანაშთენ მაყურებელთ ჩაითა და ხილეულობით უმასპინძლდებოდა. მისი თავაზიანი მასპინძლობა უმადლესაც კი მადას ჰგვრიდა. მართლაც, მომხიბლავი სანახავი იყო, როდესაც აივანში ფერადი ფარნები აინთო და თვალ წინ სასიამოვნო სურათი გაჩაღდა. ევროპიულად ჩაცმულნი დ გამოწკეპილნი ახალგაზდა ქალნი და კაცნი, ლეჩაქ-ყურთმაჯ ჩასარტყლულნი მანდილოსანნი თავიანთ ჩოხოსან დ ჩერქესკოსან „კავალრებით“ თითქო ერთმანეთს სიკეკლუცეში ეჯიბრებიანო, ნარნარით და მომხიბლავის ტანის რხევით მიეშურებოდნენ სათეატრო დარბაზისაკენ.

სრული ათის ნახევარი იყო, როდესაც წარმოდგენა დაიწყო. ითამაშეს ა. ცაგარლის ცნობილი „ხანუმა“. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. შემდეგ დადგმულ იქმნა ცოცხალი სურათები. სცენა მაშინ მთლად მწვანე ხეხილებით იყო შებურვილი, შორიდამ შადრევანი გადმოსჩქეფდა, ბენგალის ცეცხლით განათებული. ეს სანახაობა საუცხოო იყო. ცოცხალ სურათებში სამივე ქალნი ანგელოზის მგზავსნი იყვნენ, მაყურებელს გულს უხიბლავდნენ თავისის მშვენიერებით. ყველაფერი ლაზათიანად და გემოიანად იყო მოწყობილი, რაიც იშვიათია სოფლად. გულითადის მადლობის ღირსნი არიან კნეინა მაკინე ამირეჯიბისა და მისი მეუღლე, რომელთაც წარმოდგენის გამართვა იტვირთეს და თავისი წვლილი არ დაიშურეს კეთილისა და საშკილიშვილო საქმისათვის. იმედია, რომ შემდეგშიაც არ დააკლებენ გამგენი თავიანთ გულკეთილობას და საქმის მოყვარეობასა მომავალს დედათა სასწავლებელს. ასეთს საქველმოქმედო მოღვაწეობას, ნივთიერის სარგებლობის გარდა, ესტეტიური სიკეთეც მოაქვს, სათეატრო ხელოვნების სიყვარულს აღორძინებს საზოგადოებაში და ეს ხომ ასე დიდად საჭიროა ჩვენის ცხოვრებისათვის. ღმერთმა ჰქმნას, რომ მომბაძავნი ბევრნი აღმოსჩენოდნენ პატივცემულთ მაკინე ამირეჯიბისას და მის მეუღლეს.

დამსწრე ქალი

რუსეთი

—

მოსკოვში დაარსდა და ამა წლის ოქტომბრიდგან მოქმედებასაც დაიწყებს „ინტელიგენტ-ხელობის კაცთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება“. ამ საზოგადოების წესდება მთავრობამ უკვე დაამტკიცა. საზოგადოებას საგნად აქვს შემწეობა აღმოუჩინოს გაჭირვებულ წევრებს და იმათ ოჯახებს: ფული ასესხოს, ადგილი უშოვნოს, ავადმყოფობის დროს სამკურნალო დახმარება აღმოუჩინოს და სხვა. თუ თანხა ნებას მისცემს, საზოგადოებას შეუძლიან დააარსოს იაფ-ფასიანი სადგომები, სასადილოები, საზაფხულო ახალშენები. საზოგადოებას შეუძლიან აგრეთვე სტიპენდიები დაუნიშნოს წევრების მოსწავლე შვილებს და სხვა. საზოგადოების თანხა შესდგება საწევრო ფულისა, შემოწირულებისა და აგრეთვე წარმოდგენებისა და საღამოებიდგან შემოსული ფულიდგან. საქმეებს განაგებს საბჭო. წევრებად შეუძლიანთ იყვნენ ყველანი, ვინც ინტელიგენტ-ხელობის კაცია, როგორც, მაგალითად, მასწავლებლები, აღმზრდელები, მკურნალები, ინჟინერები და სხვა.

— საიმპერატორო საინჟინერო სასწავლებელში უკვე დასრულდა მისაღები ეგზამენები. წელს თხოვნა სულ 240 კაცმა შეიტანა, მათ შორის 16 მადალ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულმა, მიღებულ იქმნა 94 კაცი.

— საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო, რომ სახალხო სამკითხველოებსა და წიგნთ-საცავებში იქონიონ ადგილობრივი ის ჟურნალ-გაზეთები, რომელთაც მოიწონებს სამოსწავლო ოლქის მზრუნველი გუბერნატორსა და საეპარქიო მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ.

— წელს რუსეთის წიგნების ვაჭართა და გამომცემელთა საზოგადოებამ დააარსა პეტერბურგში ახალი სასწავლებელი, სადაც მსურველთ წიგნების ვაჭრობას ასწავლიან. სწავლა დაიწყება 6 სექტემბერს. პირველ კლასში მიიღებენ მხოლოდ იმ შეგირდებს, რომელნიც წიგნების მაღაზიებსა, საწყობებსა და დუქნებში მსახურებენ და რომელთაც პირველ დაწყებით სასწავლებლის გათავების მოწმობა აქვთ.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. გაზეთები შემდეგს იუწყებიან პოლკოვნიკის ანრის გამოტეხის და დაპატიმრების შესახებ: „როდესაც კავენიაკმა სამხედრო მინისტრობა იკისრა, მტკიცედ გარდასწყვიტა დაწვრილებით გამოიკვლიოს ყოველივე რაც დრეიფუსის საქმეს შეეხება და, ასე თუ ისე, ბოლო მოუღოს მას. ამ აზრით კავენიაკმა დაიბარა ერთი მახლობელი ოფიცერი, გარდასცა მას ყველა ის საბუთის ქაღალდი, რაც-კი დრეიფუსის საქმეს შეეხებოდა, და დაავალა შესდგომოდა ამ საქმის გამოძიება-გამოკვლევას. კარგა ხნის კვლევა-ძიების შემდეგ ხსენებული ოფიცერი დარწმუნდა, რომ ის საბუთის ქაღალდი, რომელშიაც დრეიფუსის გვარია მოხსენებული და რომელიც სამხედრო მინისტრმა პარლამენტში წაიკითხა, ყალბია, რომ ეს საბუთის ქაღალდი ბევრით განსხვავდება სხვა იმ საბუთის ქაღალდებისაგან, რომელნიც ერთისა და იმავე კაცის დაწერილი უნდა ყოფილიყო. ოფიცერმა დაუყოვნებლივ ეს ამბავი გარდასცა სამხედრო მინისტრს, რომელმაც მაშინვე ანრი დაიბარა და გამოკითხვას შეუდგა. გამოკითხვას დაესწრნენ აგრეთვე საგენერალო შტაბის უფროსი გენერალი ბუადეფრი და ორიც სხვა გენერალი: გონზი და როჟე, ანრიმ არაფერი არ იცოდა. როდესაც საგენერალო შტაბის ოფიცერი ანრისთან მივიდა და გამოუცხადა სამხედრო მინისტრი გიბარებსო, პოლკოვნიკი თავისს მეუღლეს მიუბრუნდა ამ სიტყვით; „მინისტრი მიბარებს უთუოდ სხვაგან სადმე მიპირებს გაჰგზავნასაო“. გამოკითხვის დროს ანრიმ პირველად უარი განაცხადა საბუთის ქაღალდი ჩემი შეთხზული არ არისო. მაგრამ როდესაც ქაღალდის საეჭვო ადგილები უჩვენეს, ანრიმ ველარაფერი სთქვა. ამ დროს კავენიაკმა მოფიქრება ალარ დააცალა და უთხრა, ამ წერილის შემთხზველი თქვენა ხართ. მაშინ ანრიმ უარის თქმა ველარ მოახერხა და განაცხადა, მე შევთხზევიე წერილიო. შემდეგ ანრიმ თავის გამართლება დაიწყო და სთქვა, რომ ეგ საქმე საგენერალო შტაბის გადასარჩენად ჩავიდინეო, მაგრამ კავენიაკმა სიტყვა გააწყვეტინა და უბრძანა ჯარის კაცებს დააპატიმრეთო. გამოკითხვამ ერთი საათი გასტანა.

ანრის დაპატიმრების შემდეგ გაზ. „Agence National“-ის თანამშრომელი ქ-ნ ანრისთან წავიდა გამოსაკითხად და დაწვრილებით საქმის შესატყობად. „პირველად მესმის ჩემის მეუღლის დაპატიმრების ამბავი, უთხრა ქ-ნმა ანრიმ. მე ჯერ არაფერი გამიგია. ჩვენ ეს ეს არის პარიჟში დავბრუნდით და ხვალ სოფელში ვაპირებდით წასვლასაო“.

როდესაც მეორე დღეს გაზეთებმა ანრის გამოტეხის ამბავი გამოაქვეყნეს, პარიჟის გაკვირვებასა და განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა. ამ ამბავმა თავზარი დასცა იმ ჟურნალ-გაზეთებს, რომელთაც საგენერალო შტაბის მხარი ეჭირათ: „Intrasigeant“-მა ანრის გამოტეხის ამბავი წვრილის ასოებით დაჰბეჭდა. „Gaulois“-მა განაცხადა, რომ ჯერ-ჯერობით, სანამ საქმე დაწვრილებით არ გამოიკვლევა, ვერასფერს ვიტყვითო. „Libre Parole“ სწერს: უმთავრესი ბრალი ამ საქმეში ედება სამხედრო მინისტრს კავენიაკს, რომელმაც პალატაში განაცხადა, რომ ეს საბუთის ქაღალდი ყალბი არ არისო და ყველანი შეცდომაში შეიყვანაო. „Patrie“-ს სიტყვით, ანრის გამოტეხა არაფერს არ ამტკიცებს. დრეიფუსი მაინც დამნაშავეაო.

სამაგიეროდ ძალიან გაახარა ამ ამბავმა ის გაზეთები, რომელთაც დრეიფუს-ზოლას მხარი უჭირავთ. „Pappel“-ს სწერს: „ეხლა-კი სიმართლეს კველარ დამალავენ და მართლის მთქმელს ველარ დააპატიმრებენ. გრისონმა და სარიენმა დაუყოვნებლივ უნდა განათავისუფლონ პიკარი და კაპიტან დრეიფუსს თავის გამართლების შეძლება მისცენ“. „Radical“-ი და „Aurore“ ამბობენ: „ნუ თუ საგენერალო შტაბის გაზეთები ეხლაც იტყვიან, რომ ზოლა და იმის მეგობრები მოღალატენი, ჯარის და მამცირებელნი არიანო?!.“

—

რუსეთი და ევროპა. გაზ. „Politik“-ი სწერს რუსეთის იმპერატორის წინადადების გამო: „ჰკითხულობ და არა გჯერა, რომ რუსეთის „მთავრობის უწყებაში“ ასეთი სიტყვები სწერია. ეს სიტყვები რომ ეთქვა რომელსამე კერძო კაცს, ფილოსოფოსს, იმ საზოგადოების წევრს, რომელსაც აზრად ომის მოსპობა აქვს, არავისთვის გასაკვირველი არ იქმნებოდა და არც არავინ ყურადღებას მიაქცევდა. მაგრამ როდესაც ამ სიტყვებს მთელ ქვეყანას აუწყებს უძლიერესის სახელმწიფოს მინისტრი, იმ სახელმწიფოსი, რომელსაც აუარებელი ჯარი ჰყავს, მაშინ არ შეგვიძლიან არ გავიკვირვოთ ეს ამბავი და ყურადღება არ მივაქციოთ მას“. გერმანული გაზეთი „Yorwarts“-ი ამბობს: „ეს წინადადება რუსეთის დიპლომატიის მოხერხებული საჭადრაკო გათამაშებაა. ჩინეთში საქმე იქამდის არის გამწვავებული, რომ შესაძლებელია ომი წელსაც კი მოხდეს. მართალია, რუსეთი თავით ფეხამდე შეიარაღებულია, მაგრამ მაინც არ უნდა ინგლისს შეეტაკოს იმ დრომდე, ვიდრე არ გაამრავლებს თავის ფლოტს დიდს ოკეანესა და ბალტიის ზღვაში და ვიდრე არ გაიყვანს რკინის გზას ციმბირში“.

— „Italie“ იუწყება, რომ სამთა კავშირის სახელმწიფოთ გარდასწყვეტს მონაწილეობა მიიღონ იმ კონფერენციაში, რომელზედაც ლაპარაკი იქნება იარაღის აყრის შესახებ იქმნებაო.

ნაკვესი

—

ერთმა გერმანელმა ფრანგს დიდის თავ მოწონებით უთხრა:

— უკეთ გამოჩენილი ფილოსოფოსები და პოეტები გერმანელთაგან გამოვიდნენო.

— ამიტომაც ესპა ადვილად ბეჭედი, რომ უკეთესნი გასულიანო,—დიამდით უპასუხა ფრანგმა.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

რუსეთის გაზეთებში სწერია, რომ 16 აგვისტოს, უმაღლესის ბრძანებით, აკურთხეს ციმბირის დიდი რკინის გზა, გამართული ირკუტსკამდე. ამ დღეს ირკუტსკში პირველი მატარებელი მივიდა. ამბობენ, რომ რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა დაიწყება ირკუტსკამდე მომავალ წლის 1 იანვრიდგან.

* * *

ზოგიერთ ჟურნალებში დაბეჭდილია ცნობილის მეცნიერის ფლამარიანის გამოკვლევა იმის შესახებ, თუ რა კავშირი აქვს ბუნების სხვა-და-სხვა მოვლენას იმ ლაქებთან, რომელიც მზეზედ არის ხოლმე შემჩნეული.

გამოკვლევა ამტკიცებს, რომ როცა მზეზე უფრო ბევრია ლაქა, ზამთარი თბილი არის ხოლმე და ზაფხული ძლიერ ცხელი. ხოლო როცა მზეზედ ნაკლებად არის ლაქები, ზამთარი მეტად სუსხიანია ხოლმე და ზაფხული გრილი.

* * *

ერთმა ფრანგმა მაიორმა ტანკინიდგან მოიყვანა დიდი და ძლიერ ავგული მაიმუნი, რომელიც მუდამ დაბმული ჰყავდა ხოლმე ჯაჭვით თავისს ეზოში. ამავე სახლში იდგა ერთი ოჯახი, რომელსაც ჰყავდა თექვსმეტის თვის ყმაწვილი. დედა ამ ბავშვისა სადღაც წავიდა და ყმაწვილი ბაღჩაში დასტოვა. ცოტა ხანს შემდეგ დედა დაბრუნდა და ბავშვი იმ ადგილას ველარა ჰნახა, დაუწყო ძებნა, მივიდა მაიმუნთან და ელდა ეცა: მაიმუნი ბავშვსა სჭამდა. უეჭველია, ბავშვი თითონ მიცოცდებოდა მაიმუნთან, რომელმაც თავისს გალიაში შეათრია და ჭამა დაუწყო. გასისხლიანებული ბავშვი წაართვეს მაიმუნს, მაგრამ რამდენსამე წუთის შემდეგ გარდაიცვალა.

* * *

საფრანგეთის ერთს ჟურნალში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები შესახებ იმისა, რამდენსა ჰხარჯავს ევროპა ჯარზე და ფლოტზე.

ჯარისა და ფლოტის შეიარაღება და შენახვა დასჯდომია ევროპას:

1865—66 წ. . . .	2,574	მილიონი
1869—70 წ. . . .	2,520	„
1875—76 წ. . . .	3,264	„
1880—81 წ. . . .	3,826	„
1886—97 წ. . . .	4,221	„
1897—98 წ. . . .	4,596	„

ამ გვარად 1865 წლიდგან 1898 წლამდე ჯარის შესანახად მომატებულა 2,022 მილიონი.

* * *

მეორე ჟურნალში დაბეჭდილია ცნობები შესახებ იმისა, რამდენი დაუხარჯავს ამერიკის შეერთებულ შტატებს ეხლანახან მომხდარ ომიანობისათვის.

ჟურნალში დაწვრილებით არის აწერილი ყოველგვარი ხარჯი ამერიკის შტატების მთავრობისა; ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ამერიკის შტატებს დაუხარჯავთ სულ 1.000.000.000 დოლარი. (დოლლარი 2 მანათს უდრის). ეს ფული ერთი ხუთად მეტია იმ საზღვაურზე, რომელიც ომის შემდეგ გამოართვა გერმანიამ საფრანგეთს და ეხლა შტატებს რომ მოეწადინებინათ და ამოდენა საზღვაური გამოერთვათ ესპანიისათვის, არა გვგონია, რომ ამ დაუძლურებულს სახელმწიფოს შესძლებიყოს ამოდენა ფულის გარდახდა.

სანისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(შემდეგი *)

წიგნების არშიებზე მრავალი ნაწერებია—ძველის-ძველ მსგდრულითა და სუეურით.

გვ. 78: მოიხსენე უფალო მონა შენი ხუცეს მონაზონი გერმანე.

გვ. 99: ქ: ღმერთო:. და მისნო წმინდანო რაცა მიჯრობდეს მიყავითა, კელი მარჯუენა მომკიდეთა, პირი სამოთხითა მიყავითა მე ცოდვილსა, მე ყოვლისა კაცისაგან უცოდველესსა, მე მეძავსა, მე მემრუშესა, მე ანგარსა. ახმადახას დამიწერია და თქუენცა შენდობა მიბძანეთ, მადლია.

გვ. 100: ქ: ღმერთო და ყოველნო მისნო... შეიწყალენ ორსავე შოან (?) ცხოვრებასა დიასამისა ძისა ასული ანა და ძენი მისნი ივანე, გედეონ და გულბად: ადღეგრძელენ მოწყალეო ღმერთო და მე ასული მისი შუენიერი შეიწყალე და მიჰსენ სატანჯველთაგან მოსამართლეო ღმერთო და ვინცა შენდობა ბრძანოთა თქუენცა შეგინდნეს ღმერთმან. ამინ. ამინ. ამინ და კირიალეისონ. უფალო ღმერთო შემიწყალე მწარედ ცოდვილი მწერალი შუენიერი და ჩემი მამა მიცხოვნე. ქრისტე შეიწყალე კავკასისა ძე გიორგი. ამინ. (სხვა ხელით): ქრისტე ღმერთო შეიწყალე მონა შენი საროსტანისა. ღმერთო ამინ.

გვ. 113: ქ. ღმერთო და წმიდაო მარინე მომეც სწავლა კეთილი, რათა ვისწავლო, გმსახურო ყოველთა დღეთა ცხოვრების ჩემისათა. ამინ კირიალეისონ.

გვ. 124: ქ. ღმერთო შეიწყალე ხუცეს მონაზონი დავით ვინც წაიკითხოთ შენდობა ბძანეთ. დავით გარეჯას აღვიზარდე კბ წელიწადი დავყავ. მერე ლეკთა შემიპყრეს. ორი წელიწადი ტყვეთ ვიყავ. ტყვეობას უკან ისევ უდაბნოს ყოფნა ვისურვე და ვიმყოფები. იმის მეტათ სოფელში არ წავსულვარ. ქ'კს უობ (=1784 წ.)

გვ. 318 (ძველის ხუცურით): ვიყავ მე ბოცოს ძისა ასული ამა სახლ'შიგან და იყო ქმარი ჩემი ივანე და ვ'შვენით ძენი გიორგი. გო'შნა. დარისპან. იმარინდო. შერი(?). ბოცო. უხუცესი ქალი.

*) იხ. „ივერია“, № 184

გვ. 332 (ძველის ხუცურით): ქ. ცხოვრება ჩუენი ესრეთ იყო. ვიყვენით ჩუენ კავკასის ძესა ს.ხლსა შინ, პატრონმან იმარინდოს მისი მეუღლე ნესრჯან... ღმერთი დიდ... და წაიკიდნეს მეფე და... სამცხედა რისხვა დიდი და გომარჯვდა მეფესა მ[illegible]ა(?) რისხვა ღმერთის ჩემზედა. მუნ აღესრულა ქმარი იგი ჩემი: კგ: წლადა. მე ვიყავ: ით: წლის. არა მედგა ვაჟი, ხოლო სამნი ქალნი, სიყვარულით ჩისით.. სახე ღვთისა ჩემისათჳს დაუტევე სოფელი. მონაზონ ვიქენ. ამა წიგნს მიემთხვიოთ...

გვ. 334 (ძველი მხედ.): ქ. ღმერთო და უბიწოთა ორმოცთა მადლო დაჰღრდგომაო ვრისტესო შეიწყალე ორსავე ცხოვრებასა კავკასიძე გულბადა. მეუღლე მისი გურგენის შვილის საბურის ასული ბატონი ასთანდარ. ცოდვანი და ბრალი მათი შეუნდევენ ღმერთმან და უდღეგრძელენ შვილი ივანე და დულბუზ (?) და ელენე. ნუ უზამ მათის მტერის გულისას..... მერმე ბატონო მარინე ეს გიბრძანებია თუ რა გინდა კაი იყო ვერ შემჯერებიხარ... თუ მე შენთვის ავი ვიყო ეს... მიძინების ხატი და დღენი მე დამელევის და თუ შენა ჰუგანი ავი იყო დღენი შენა დაგელ ოს. ამენ.

ქ. ღმერთო შემიწყალე მე გლახა ფარადა თავადაშვილი ღარიბი. გარნა ყოველთა ცოდვილთაგანცა უცოდვილეს..... ბატონო ელენე შენა რომე ჯმთსა (ჯუმათსაჲ) ავი იყო ამასც როგორა იჭობა რომე მე შენთვის კარგი არ მინდოდეს... ერთსა საწყალსა უშველოსა როგორც მე შენი კარგი მინდა. მაგრა შენ ვერა შეგვჯერებიხარ ჩუენა. ამინ. ამინ. ღმერთო მიშველე ემაგრეთ.

კიდევ ეგეძრებიან ღმერთს ლაბაკიძე (გვ. 304), არაკვანი (310), როსი (317), დოლენჯი და მრ. სხ.

ახლა ადგილს გუთმობ „სხვითხუსს“.

გამოსადეგი ცნობა

შეკვე ცნობილია, რომ მარლი-წყალში ძლიერ კარგად ინახება მოხარშული კვერცხი. ესლა აღმოჩნდა, რომ მარილწყალშიც ითქმის ერთს თვეს მშვენივრად ინახება უმი კვერცხიც. კვერცხს ასე უნდა შენახვა: 8 ბოთლ წყალში გახსენით 2 კირვაქა მარილი, წყალი 20 წუთს ადუღეთ და მიუმატეთ 2—3 კოკზი დაშლილი კირი. თხისს ჭურჭელში ჩაუწყეთ კვერცხი და ზედ დასხით ეს მარილ-წყალი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 აგვისტო

ლონდონი, ომდეკრმანთან მომხდარ ომის დროს ინგლისელებს მოუკლეს 23 ჯარის-კაცი და აფიცერი, ხოლო დაუჭრეს 99 კაცი; ეგვიპტელებს მოუკლეს 21 და დაუჭრეს 340 კაცი. ხალიფი კარდოფანში გაიქცა.

სიმლა. ბომბეის საპრეზიდენტოს 167 ოლქში წარსულ კვირას შავის ჭირისაგან 2000 კაცზედ მეტი გარდაიცვალა.

პარიჟი. გაზეთები ამტკიცებენ, რომ ცურლინდენმა სამხედრო მინისტრობა ფორის თხოვნით იკისრაო. გაზეთები ძალიანა ჰკიცხავენ კაენიაკს. კაენიაკი მოუხერხებელი კაციაო, ამბობენ ისინი. ჰფიქრობენ, რომ მთავრობა რამდენისამე დღის შემდეგ გარდასწყვეტს დრეიფუსის საქმე ხელ-ახლა განხილულ იქმნას თუ არა.

ლონდონი. „Daily Mail“ ი იუწყება, რომ რუსეთი და ინგლისი ჩინეთის საქმეში მორიგდნენო.

განცხადებანი

(11—მ.—4)

სენაკის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

ამ სასწავლო წლისათვის სკოლის პირველს განყოფილებაში 35 ვაკანსიაა თავისუფალი, მეორეში—11, მესამეში—9 და მეოთხეში—16.

თხოვნების მიღება აგვისტოს 28-დგან დაიწყება; თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მოწმობანი ნათლობისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა, რომ მოსწავლის მშობლები ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლებიან, ან იმისი საბუთი, რომ თავად-აზნაურთაგანნი არიან.

ხელ-მეორედ გამოსაცდელი მოსწავლენი უნდა გამოცხადნენ 29-სა და 30 აგვისტოს, ახლად მისაღებთათვის-კი ეგზამენები ვაკანსიების შევსებამდე განიგჳძობა.

თუ თავად-აზნაურთა შვილებმა ვაკანსიები ვერ შეავსეს, მაშინ გლეხთა შვილებიც მიიღებიან, მხოლოდ სწავლების ქირა გარდახდებათ ქუთაისის და სენაკის სკოლათა სამხრეთველოს გარდაწყვეტილებისამებრ 6-დგან 12 მანეთამდე.

შესაძლებელია ამავე წელში 1 კლასიც დაარსდეს სამეურნეო განყოფილებითურთ: ამ ჟამად მზადდება პროგრამმა და იწერება მოხსენება ამ განყოფილების დაარსების შესახებ. სწავლა 5 სექტემბრიდგან დაიწყება.

სკოლის მმართველი ს. უფიანი

(6—ნ.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 7 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე გამგეობის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ახლად გადაკეთებულის ორსართულიანის ქარვასლისა (რომელიც უწინ შიოევისა იყო) აბანოებთან. ამ სახლში არის 4 დუქანი, 12 ოთახი და ორი სარდაფი. ზიარობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა და დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

ე.ალმაზოვის დედათა პროფესიანულ სასწავლებელში

მიხეილის ქუჩაზე, სახლი № 101, სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვიდგან, აქვე იკერება დედათა ტანთ-საცმელი, თეთრეული და კეთდება ყოველ გვარი ხელ-საქმე. მოწაფეთა მიღებისათვის დანიშნულია დრო ყოველ დღე, დილის 9 საათიდგან საღამოს 6 საათამდე.

(3—129—1)

მასწავლებელი

კოლექსკი ასესსორი

ივანე ზაქარიას ძე ტურ-სტეფანოვი თავისს სასწავლებელსა და პანსიონში ასწავლის და ამზადებს მსურველთ გიმნაზიასა, რეალურ სასწავლებელსა, კადეტთა კორპუსსა, მიწის მზომელთა სასწავლებელსა და სხვაგან შესასვლელად. ასწავლის აგრეთვე გუჰჰალტერიასაც.

სწავლის ფასი თვეში ღირს—8 მ. პანსიონში ყოფნისა—20 მან. გუჰლალტერიის შესწავლა—60 მ. ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, თავ. ვარანცოვის ძეგლის მახლობლად.

(5—128—1)

ქალაქის სულით-ავადმყოფთა თავშესაფრისათვის

საჭირო სადგომი.

სადგომი ქალაქის განაპირას უნდა იყოს და შესდგებოდეს 15—20 ოთახისავან დიდის ეზოთი და თუ შეიძლება ბაღითაც. განცხადება ტფილისის ქალაქის გამგეობას უნდა გაუგზავნონ. (3—ნ.—3)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო

ფეის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი ბრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიაის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. МИРИМАНИАНИСА

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(42—ნ.—14)

КЪ ВОПРОСУ

О поднятіи образованія среди грузинскаго дворянства.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულს მაღაზიას. (12—12)

მიიღება ხელის მოწერა რუსულ-ქართულ

ენციკლოპედიურ ლექსიკონზე

ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო სიტყვები, რჯულნი, მოძღვრებანი და სხვა. მარტო პირველს წიგნში, ასო **ანზე**, განმარტებული და აწერილია ორი ათასზე მეტი სიტყვა და საგანი. მათში განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ცნობებზე ჩვენის ქვეყნის შესახებ, რომლებიც აწერილია უფრო მეტის სავსებით. მთელი ლექსიკონი გამოვა **15** წიგნად, თითო **160—200** გვერდად, სამს თვეში თითო, და ეღირება ხელის მოწერათათვის მარტო **12 მანეთი**, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთობითაც შეიტანოს. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდათ; ასეთს სტატიებს მოვუწერთ მათის ავტორების სახელ-გვარს. მეორე წიგნი ასო **ბანზე** უკვე იბეჭდება და გამოვა ენკენისთვეში.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили.** (10—104—10)

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

უმთავრესი სადგურები	მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე		მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე		მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე		მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე	
	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ
ბათუმი	8.47	—	—	8.20	8 33	—	—	8.35
სამტრედია	5.31	5.46	11.21	11.36	4.50	5.05	12.05	12.20
ყვირილა	3.37	3.47	1.22	1.32	2.48	2.58	2.16	2.26
ხაშური	12.41	12.56	4.38	5 00	11.47	12.02	5 26	5.41
გორი	11.23	11.32	6.06	6.18	10.23	10.33	6.45	6.55
ტფილისი	8.26	9.10	8.22	9.05	6.33	7.48	9.07	1057
ალსტაფა	5.23	5.32	11.43	11.51	2.53	3.18	1.45	2.08
განჯა	2.23	2.37	2.35	2 55	11.39	11.54	5.18	5.40
შკვარა	10.43	10.53	6.08	6.20	7.39	7.49	9.14	9.24
ალიაბული	7.29	7.44	9.19	9.30	3.57	4.17	1.00	1 25
ბაქო	—	4.05	12.59	—	—	12.20	5.45	—

შენიშვნა: შაკს ხაზებში მოქცეული სათითო წუთი დამეხა ჭნიშნავს, უხაზოდ—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გადის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მთდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდს დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპანიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

რკინის გზის სასგარაკო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორემცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის. ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.

Довзолено це изурою, Тифлисъ 27 го Августа 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.